პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ოქტომბერი შაბათი 1974 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 252 (16073)

სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მტკიცედ იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის. განავითარეთ სპეციალიზაცია კონცენტრაციისა და სამეურნეოგათაშორისო კოოპერაციის გაზაზე! უაირათიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, შრომითი და მატერიალური რესურსები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლისმეურნეობის მოწოდებიდან.



ეროვნული გაერთიანების ცალკე-ცალკეული ამბავი!

355.000 ტონა ყურძენი

მცხეთელ მევენახეთა ნობათი

მცხეთა ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელ წელს მცხეთის რაიონის მევენახეებმა ბეჯითად იშრომეს და კარგი მოსავალი მოიყვანეს. 25 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 7.550 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.405 ტონისა.

ამ საქმეში თავი ისახელეს მუხრანის სასწავლო-საცდელმა მეურნეობამ, მცხეთის ექსპერიმენტულმა მეურნეობამ, საგურამოს, ნატახტარის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებმა და სხვებმა. მევენახეები საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებულ ყურძენს პატრიოტული შეგნებით აბარებენ სახელმწიფოს. მათ უკვე ჩააბარეს 1.200 ტონა ყურძენი.

რთველი გრძელდება. მცხეთელი მევენახეების გადაწყვეტილებაა წელს სახელმწიფოს მიაყიდონ 8.500 ტონა ყურძენი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა პატრიოტის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარიხაშვილმა.

ბოლნისელთა ზვრების ბარაქა

წელს ბოლნისის რაიონის ზვრები სერიოზულად დაზიანდა სეტყვისაგან. მიუმედავად ამისა, აქაურმა მევენახეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ვენახები კვლავ უხვმოსავლიანი ყოფილიყო. შრომას უქმად არ ჩაუვლია. მოსავალი კარგია. რაიონმა ვალდებულებით გათვალისწინებული 5.800 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიყიდა 7.314 ტონა ყურძენი. ეს 900 ტონით მეტია აღებულ ვალდებულებაზე.

— ყურძნის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულების შესრულება, თქვა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბერრბაძემ, — ძირითადად ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სარჯზე მოვახდინეთ. ამ მეურნეობამ ვალდებულება იკისრა წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებინა 5.000 ტონა ყურძენი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

საბჭოთა მეურნეობამ რთველი ორგანიზებულად დაიწყო. სახელმწიფო მარანს უკვე ჩააბარა 5.110 ტონაზე მეტი ყურძენი. აქ 200-250 ტონა ყურძენს კრეფდნენ ყოველდღიურად.

მეურნეობის დირექტორმა ნ. კობახიძემ მრავალი მოწინავე მევენახე დასახელა, მაგრამ მათგან მაინც გამოყო ის ბრიგადები, რომლებსაც ლ. ჩინჩარაძე და ლ. თხინვალელი თავკაცობენ. მათ ბრიგადებმა 160 პროცენტით ვაანალიზეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალებანი. სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა მევენახეებმა ლ. ქობულაძემ, მ. არუთინოვმა და ჯ. კოპალიანმა.

ბოლნისის ღვინის ქარხნის წინ გაუთავებელ რიგებად დგანან ყურძნით დატვირთული მანქანები. ქარხანა ყოველდღიურად უზრუნველყოფს 400-500 ტონა ყურძნის გადამუშავებას. ქარხნის კოლექტივი ნამდვილად რომ კარგად მომზადებული შეხვდა რთველს. ქარხნის დირექტორმა ბ. ჯაველიძემ თქვა, რომ წელს აქ გადაამუშავებენ 7.000 ტონაზე მეტ ყურძენს, რომლისაგანაც დაამზადებენ შემაგრებულ ღვინოს წვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გასაგზავნად.

8.000 ტონა ყურძენი, ასეთია ბოლნისელ მევენახეთა ვალდებულებები, რთველი წარმატებით გრძელდება.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

მარნეულელ მეთამბაქოეთა წარმატება

მარნეულის რაიონის მშრომელები ენერგიულად იბრძვიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის ღირსეულად შესახვედრად, მათ ადამდე ადგილებით შეასრულეს თამბაქოს შეტანის წლიური დავალება. 20 ოქტომბრისათვის შეტანილი იყო 29.099 ათასი ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27.692 ათასი ზონარმეტრისა, რაც გეგმის 104 პროცენტს შეადგენს. თამბაქოს შეტანა გრძელდება.

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა ფ. ბაბალაშვილმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულევამ.

გეგმა — გადაჭარბებით

მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის (მცხეთის რაიონი) კოლექტივმა დიდი შრომითი აღტაცებით დიდწყო ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი და უკვე მიღწეულია ახალი წარმატებები. მეურნეობის კოლექტივის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ-პედაგოგიური პერსონალისა და სტუდენტების თავდადებულმა შრომამ შედეგი გამოიღო.

გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ვაბსტნელისა და ხილის მიყიდვის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 700 ტონაზე მეტი ხილი, ნაცვლად 545 ტონისა. მეურნეობაში ბარაქიანი რთველი იყო. წლეულს სახელმწიფო მარნისათვის 590 ტონა ყურძენი უნდა ჩაგვბარებინა, ნამდვილად კი უკვე 750 ტონაზე მეტია მოკრეფილი და ჩაბარებული. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

წლეულს 50 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მუხრანის ყოფილი სასალხო მამული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო-საცდელი ბაზა გახდა. ახლა მეურნეობის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ ამისათვის, რომ ამ სახიხარული თარიღს წარმატებით შეხვდნენ. ჩვენ გადავწყვეტეთ წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩავბარეთ 350 ტონა ყურძენი, 150 ტონა ხილი, 80 ტონა ბოსტნეული, 15 ტონა ხორცი, გეგმის გადამეტებით ვაწარმოოთ 200 ათასი ძირი თუთის ნერგი.

მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის კოლექტივის შრომითი შეგართება ამის საწინდარია, რომ მეურნეობა ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და მეცხრე ხუთწლედის დამთავრებულ წელს უფრო მეტ წარმატებებს მიიპოვებს.

რ. მემარნიშვილი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

შეჯიბრების მოწინავენი

ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშაკთა კოლექტივში მოხვდებიან, დიდ კმაყოფილებას განიცდიან გულითადი მიღების გამო. საწარმოს ვეტერანები, წარმოების მოწინავე მუშაკები ახალგაზრდებს მონდომებით ასწავლიან პროფესიებს.

საწარმოში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მის საჭიროობას განსაკუთრებული უურადღება ეთმობა. სასტატო დაფა, გარდამავალი ვიმპელები, თავის პროფესიაში საუკეთესოს წოდება, საამქროთაშორისი გარდამავალი წითელი დროშები — ყოველივე ეს თვითეულ მუშას სიამაყის გრძნობას უნერგავს.

დისციპლინის დარღვევის არცერთი შემთხვევა არ რჩება უყურადღებოდ.

სურათზე: მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი ავთანდილ გოგუაძე რომან კანდელაკს გადასცემს „საუკეთესო ხარატის“ გარდამავალ ვიმპელს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის შესახვედრად

ასი ათასი მანეთის კაბელი

ზესტაფონი. ქარხანა „საქაბელის“ დიდი ხნის ისტორია არა აქვს. საწარმოს ახალგაზრდა კოლექტივმა მუყაითი და მონდომებული შრომით მოკლე დროში აითვისა სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო სხვადასხვა ზომის კაბელის წარმოება. ხუთწლედის მესამე და მეოთხე წელს ქარხნის კოლექტივმა მთელი თავისი მუშაობა გარდაქმნა საქართველოს კოპპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და გეგმებს ასრულებს ყოველთვიურად, კვარტალურად, სისტემატურად უმჯობესდება ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა 22 სექტემბრისათვის გავანაღდეთ. ოქტომბერში შრომის ტემპი კიდევ უფრო გავაძლიერეთ და ათი თვის გეგმის შესრულება სამშობლოს 22 ოქტომბრისათვის ვუპაპაკეთ. პროდუქციის მეოცე მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდიდან ზეით. ცხრა თვეში ეს მაჩვენებელი გეგმასთან შედარებით 4,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 10,2 პროცენტით. დაზოგილია 327 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და დიდძალი სხვადასხვა დეფიციტური მასალები.

გეგმის შესრულებასთან ერთად დიდ მუშაობას ვაწარმოეთ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ჯერ კიდევ შარშან კაბელის ერთ სახეობას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ახლა ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში ხარისხისნიშნიანი ნაწარმი 7 პროცენტს შეადგენს. წლეულს, საატესტაციო კომისიამ ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მინაღებად კიდევ ერთი პროდუქცია წარადგინა, მისი დამტკიცების შემდეგ ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება 20 პროცენტამდე გაიზრდება.

ქარხნის კოლექტივს დავალებული ჰქონდა ხუთწლედის ბოლოსათვის აეთვისებინა მეტად საჭირო დეფიციტური საკონტროლო კაბელის წარმოება. ჩვენი სპეციალისტების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ამ პროდუქციის წარმოება ერთი წლით ადრე ვითვისეთ და უკვე გამოვუშვით 1000 კილომეტრამდე კაბელი.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები უსტად დავიანგარიშეთ და გადავწყვიტეთ, რომ ხუთწლედის ოთხი წლის დავალება ოქტომბრის დიდი დღესასწაულისათვის შევასრულოთ.

რით მივაღწიეთ ასეთ წარმატებებს? მთავარ ყურადღებას ვუთმობთ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვას. მარტო წლეულს დავამუშავეთ და მუყაორში ჩავაყენეთ 12 აგრეგატი, მათ შორის ორი ავტომატური ხაზი. უახლოეს პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაიცემა კიდევ ორი ახალი დანადგარი, რაც საშუალებას მოგვცემს მოლიანად მექანიზებული გავხადოთ გამტკერვაზე იზოლაციის დადება.

ბევრი რამ გავაკეთეთ მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. კეთილმოეწყო ქარხნის ეზო, ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში მწყობრში ჩაყენდა ახალი ბანი, დამთავრდება სასადილოს რეკონსტრუქცია, ჩვენი სახსრებით საწარმოს ტერიტორიაზე ავაგეთ სავაჭრო პავილიონი, სადაც იყიდება ხილ-ბოსტნეული.

მაგრამ მიღწეული ერთი წუთითაც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. ვინაიდან ხუთწლედის ბოლო წელს მიმდინარე წლთან შედარებით პროდუქციის გამოშვებას 22,7 პროცენტით უნდა გაიზარდეს, ამავე დროს უნდა გადიდდეს დეფიციტური კაბელების წარმოება. ეს დიდი ამოცანა წარმატებით რომ შეასრულოთ, გათვალისწინებული გვაქვს გაფართოდ აგრეგატების მოდერნიზაცია, დამამტკიცებელ და დროულად დადგეცეთ საექსპლოატაციოდ ორი ავტომატური ნაკადური საკაბელო ხაზი და ექვსი სხვადასხვა ტექნოლოგიური დანადგარი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ გათვალისწინებულია ქარხანა „საქაბელის“ დირექტორი, ა. მაისურაძე — საწარმოო-სადასპეტჩერო განყოფილების უფროსი, ო. ფერაძე — საამქროს უფროსი, თ. შალამბერიძე — უფროსი ოსტატი, ე. მგელიძე, ზ. ლეფაკა, ნ. გუნიკაკა, რ. ბარბაკაძე — ოსტატები.

ლ. ი. ბრეჟნევი

საჭიროა ადიკვეთოს მიწების გაბიავება. მიწა ხალხის ფასდაუდებელი სიმდიდრეა და ჩვენ მოვალენი ვართ გავუფრთხილდეთ მას, გავადიდოთ მისი ნაყოფიერება, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი უპუბლა თვითეულ ჰექტარზე.

ლ. ი. ბრეჟნევი.

მიწა!... დიახ მიწა ჩვენი მარჩენალი, ჩვენი დამპურებელი! მიწა ჩვენი სიმდიდრის, სიძლიერისა და სიჯანსაღის, სიკეთის, სიმრავლის დაუშრეტელი წყარო. მიწის სიყვარული ჩვენს ხალხს ოდითგანვე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ჩინებულად ეღერს „დედამიწა“! ჩვენი მიწა მართლაც დედის ის უხვი კალთაა, რომელიც დღითიადაგ დაუყვედრებლად გვაპურებს, გვაძლევს უმრავლესი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულს.

დაუყვედრებლადო, ვამბობთ, მაგრამ ყოველთვის ასე როდია. ჩვენი მიწა მხოლოდ იმას დაუყვედრებს, ვინც დაუდეგრად, უყაირათოდ ექცევა, ვინც არ უვლის, არ პატრონობს, ასეთი ადამიანისათვის დედინაცვალია ჩვენი მიწა.

საქართველო მარტო ლამაზი მთები და ველ-მინდვრები როდია! ეს მთა-ბარი თავისით როდი მოხატულა! იგი ჩვენმა გონიერმა, ვამრჯე, მკლავმოოღლილმა ადამიანებმა აიუვანეს. აქეთ ვენახები და კალთაუხვი მინდვრებია, ათასნაირი ხეხილის ბაღები და ცხვარმრავალი მთებია, იქით ხავერდოვანი ჩაის პლანტაციები, ნარინჯების ბაღები და მოჩოთული ზღვისპირეთია. ეს ყოველივე ჩვენი სოფლის მშრომელთა ნიჭია და უნარით იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე.

მიწა ჩვენია, გარჯის ნაყოფიც ჩვენია! — თქვეს საბჭოთა საქართველოს სოფლის მშრომელებმა და ხუთწლედების მანძილზე შრომითა და ოფლის ღვრით ამკობდნენ ჩვენს მთაბარს, ველ-მინდვრებს. ჩვენმა მადლიანმა მიწამ ბევრ ვაჟკაცს გაუთქვა საქვეყნოდ სახელი. მათი რიცხვი იმდენად დიდია, რომ გვარების ჩამოთვლა შეუძლებელია. იდიდოს თქვენმა სახელმა სოციალისტური შრომის გმირებო, ჩვენი მიწის, ჩვენი სოფლის სახელოვანო მოამაგენო!

მიწაა, მიწაა ჩვენი სიამაყე, ჩვენი გამჩენი და ჩვენი დამრჩენი! მაგრამ ყველგან საფანადო ყურადღებას ვაქცევთ ამ ჩვენს მიწას? სიწუხაროდ, საქართველოს ყველა რაიონში, თითქმის ყველა სოფელში უხვმოსავლიანი ვენახების, ბაღების, პლანტაციების, სანაფლეო ტყეების გვერდით არის უქმად მიტოვებული ან დაჭაობებული თუ ეროზირებული მიწები, საკარმიდამო ნაკვეთების ჩამონაჭრები, რომლებიც წლების განმავლობაში უქმად ცდება, უნაყოფობაში სულს ღაფავს და კარგი პატრონის ხელს ელას.

ჩინებული, საშვილიშვილო თოსნობა გამოიჩინეს ხილნაღის რაიონის ანაგის სასოფლო სიბჭოს დეპუტატებმა. მათ გადაწყვიტეს აღრიცხონ მიტოვებული, ჩამონაჭერი, ბუჩქნარი და ეროზირებული მიწები, აღრიცხონ და ურჩიონ კოლმეურნეობას ჩააყენონ ეს მიწები ხიუნვის სამასხურში. ანაგელთა „ეს თოსნობა, რომელიც „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, მოიწონა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და დაავალა ყველა სასოფლო საბჭოს ანაგელთა მაგალითით აღრიცხონ მიწები და ებრძოლონ მათი მაღალნაყოფიერებისათვის.

ახალი წელი, ჩვეულებრივ I ივნისს იწყება. მანამდე კი ყველა ეშზადება ძველის გასაცლელად და ახლის შესახვედრად. ხოფლის მშრომელები კი წელიწადში რამდენჯერმე სხვადასხვა დროს ძველს აცილებენ და ახალს იწყებენ. ემეინდვრეებმა თავთავიანებმა მოსავლის აღებისთანავე გაიცილეს ძველი წელიწადი. გაიცილეს და მერე როგორ! დიდი წარმატებებით. მათ თესვის დაწყებისთანავე დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი და ახლა უკვე მტკიცე საფუძველს უყრიან ხუთწლედის მეხუთე დამამთავრებელი წლის უხვ მოსავალს. სწრაფად ახლა უნდა გამოიჩინონ მათ გონივრულობა, მიწის სიყვარული და არცერთი მტკაცელი არ უნდა დატოვონ მოუხნავი, აგროწესების მიხედვით დაუთესავი. მექანიზატორთა ოსტატობაზე, დახელოვნებაზე, აგრონომებისა და ხელმძღვანელების ვულითადობაზე დიდად ჰრის დამოკიდებული თუ როგორ დავთესავთ. ხვნა-თესვის დროს მიწის ყველა ფართობი სრულყოფილად უნდა მოვუხნათ და დავთესოთ. ტუეილად როდია ნათქვამი, ჩვენს მიწაში თესლი უკუღმა რომ გადაგდო, წაღმა ამოვაო. განა შეიძლება ასეთი მიწის მოცდენა? ვინ როგორ დათესა, ეს ჯეჯილის აღმოცენების შემდეგ გამოჩნდება.

მეჩაიეთა ძველი წელიწადიც ძლეცამოსილად დამთავრდა. მათაც დიწყეს ახალი სამეურნეო წელიწადი. პლანტაციებს უფრო მეტ ვულისყურით უნდა მოვეკოლოთ, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი პლანტაციების გაშენებას. მეჩაიეობის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, ხოფლის დეპუტატებმა უნდა გადასინჯონ რეზერვები, ნახონ საკარგულები და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ არსად არ დარჩეს მიწა უყურადღებოდ.

კახეთის რაიონების მევენახეებმა კარგად დაამთავრეს ძველი სამეურნეო წელიწადი და ახლა ისევ ვენახებში ტრიალებენ. მევენახეთა ვალია ისევ და ისევ ვულდასმით შეამოწმონ ზვრები, შეავსონ მეჩხერი ადგილები, შეიტანონ ხასუქები, აგროწესების დაცვით დაამუშაონ ნაადგილი, ხავნაზე მიწებად შეარჩიონ, მობნან გამოუყენებელი მიწები და თავის დროზე გაამზენონ ახალი ზვრები.

მალე ჩათავდება მეხილეთა, მეეკარხლეთა და ხოფლის მეურნეობის სხვა მუშაკთა ძველი წელიწადი, მალე დაიწყება მათი ახალი წელიწადი. მან მთელი პასუხისმგებლობით უნდა დაათვალიერონ სავარგულები, აღრიცხონ და მოსავლის სამსახურში ჩააყენონ გამოუყენებელი მიწები. არცერთი ფერდობი არ უნდა დატოვოთ უყურადღებოდ. ტერასები უნდა მოვაწყოთ და ნაყოფის მომცემი მცენარეები გავაშენოთ. ეროზირებული მიწები უნდა გავამაგროთ, ავრონომიული მეცნიერების გამოყენებით ავითვისოთ ბუჩქნარები, დაჭაობებული და ქვაღორღლიანი მიწები. ყველაფერი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სოფლად არცერთი კუთხე-კუნჭული არ იყოს აუთვისებელი. მიწები გულდასმით უნდა აღვრიცხოთ, ავითვისოთ და ბოდეუქტების ხიუხვის ხამსახურში ჩავაყენოთ. ზოგან კი ტყეები უნდა გავაშენოთ და გზის პირები წარმატაც ადგილად გადავაქცეოთ. წარმატებით შევხვდეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმს.

ანაგელთა თოსნობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე მტკიცე პარტიული და საბეურნეო კონტროლი უნდა დაწესონ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოს აღმასკომებმა.

ჩვენი მიწა ღირსია იმისა, რომ ადამიანები უფრო დიდ გულმოდგინეობით ეფცეოდნენ. ამ სიყვარულს მიწა ერთიასად აგვინაზღაურებს.

გვირგვინით შემკობა

25 ოქტომბერს პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ზულფიკარ ალი ბუტომ გვირგვინით შემკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან. პრემიერ-მინისტრთან ერთად იყვნენ მოგზაურობის დროს მისთან თანმხლები პაკისტანელი სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე პაკისტანის ელჩი სსრ კავშირში ს. ჰ. დეპლავი.

პაკისტანელმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საბჭოთა მეომრების წმიდათაწმიდა ხსოვნას, რომლებმაც მსოფლიოს ხალხები იხსნეს ჰიტლერული ფაშიზმისაგან.

ოქტომბრის შესახვედრად

ხუთწლედი-ვადაზე! 1975-



სურათზე: ელექტროგადამცემი ხაზების ხაყრდენების დაყენება.

ი. ბალაშის ფოტო, (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ჰ. კისინჯერს

24 ოქტომბერს ნაშუადღევს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე. კერძოდ, შეეხნენ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემას და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მომდინარეობის საკითხებს. (საკდესი).

მისასალმებელი დეპეშა

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ტრიგვე ბრატელიმ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნა დეპეშა მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპაციისაგან აღმოსავლეთ ფინმარკის განთავისუფლების 30 წლისთავის გამო. დეპეშაში გამოთქმულია მადლობა იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა შეიტანეს 1944 წელს ნორვეგიის განთავისუფლების საქმეში.

აღმოსავლეთ ფინმარკის განთავისუფლებით აღდგა მშვიდობა ჩრდილოეთში, დაიჩინეს საერთო საზღვარი. კვლავ გახდა მშვიდობის საზღვარი, ნათქვამია დეპეშაში, და გვსურს, რომ იგი მუდამ ასეთი იყოს ჩვენი ორი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

პაკისტანის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად

24 ოქტომბერს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ზულფიკარ ალი ბუტოს პატივსაცემად.

მთავრობის მეთაურთან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე პაკისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში სამეული ხან დეპლავი.

საბჭოთა კავშირის მხრიდან სადილზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ტ. მაზუროვი და სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე ა. ნ. კოსიგინმა და ზ. ა. ბუტომ წარმოთქვეს სიტყვები, რომლებსაც შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

მეფრინავე მემონტაჟეები

ამჟამად სახალინელი მფრინავები ითვისებენ მემონტაჟეების სპეციალობას. ი ხ ი ნ ი ელექტროგადამცემი ხაზების დასაყრდენების მონტაჟის ტექნოლოგიას ამუშავებენ ვერტმფრენავების საშუალებით.

რელიეფის სირთულემ და მეტეოროლოგიურმა პირობებმა კუნძული სახალინი ახალი ტექნიკის გამოცდისათვის შესანიშნავ ბუნებრივ პოლიგონად აქცია.

ეკონომისტების წინასწარმა გაანგარიშებებმა გვიჩვენეს, რომ ვერტმფრენების გამოყენება ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენების მონტაჟზე, მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა.

საბჭოთა კავშირ-პაკისტანის მოლაპარაკება

24 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა პაკისტანის პრემიერ-მინისტრს ზულფიკარ ალი ბუტოს, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობის განვითარების საკითხები, ქმაყოფილებით აღინიშნა ბოლო წლების მანძილზე მიღწეული პროგრესი სსრ კავშირისა და პაკისტანის ურთიერთობის გაფტიურების საქმეში.

მხარეებმა აღრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ურთიერთსაინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, კერძოდ, სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე ვითარების შემდგომი ნორმალიზაციის საკითხზე.

25 ოქტომბერს კრემლში მოლაპარაკება განაგრძეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ზულფიკარ ალი ბუტომ. მათ განიხილეს საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემები.

მოლაპარაკება მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

(საკდესი).

„მოლნია-1“

1974 წლის 24 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირგაბმულობის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1“ გათვალისწინებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის სისტემის ექსპლოატაცია, აგრეთვე „ორბიტის“ ქსელის პუნქტებისათვის სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემა. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1974 წლის 24 ოქტომბერს 64 წლის ასაკში გულის მწვავე უკმარისობის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი

ეკატერინე ალექსის ასული ფურცევა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

1974

შესრულების შემოწმების წელი

საწარმო და პარტიული ორგანიზაცია

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის კლენუმზე

ცხოვრება, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა ყოველდღიურად გვაფრთხილებს, თუ რა კარგი შედეგი მოაქვს მშრომელთა შეგნებულობას, დარაზმულობას, სოციალისტური შეჯიბრების, თანამეგობრობის, ნაკლები დანაკარგების წარმატებით შესრულებას, პარტიული ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის ინიციატივის, ენერგიულ შრომას, ნაყოფიერებისადმი შეფერილობას.

.სწორედ ეს ჩვენმარტება წარული ზოლად გასდევდა ახლახან გამართული აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმს, რომელმაც განიხილა საკითხი „პარტიის XXIV კრების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სამრეწველო წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისთვის აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების“.

მომხსენებლმა, პარტიის საოლქო კომიტეტის მბრძანებელმა ბ. ბეგთასაშვილ, კომეთის მოხსენებამ: ბატონმა საფარაძემ ტ. ტაბიძემ, ბ. ნასიოლიონოვამ, ნათთბილისამოშენებელი ქარხნის პროფკომიტეტის საქართველოს ტრანსპორტ. ელექტრონული ინიციატორის ტ. ფანარიან შრომის, ნაყოფიერებისადმი შეფერილობის.

.სწორედ ეს ჩვენმარტება წარული ზოლად გასდევდა ახლახან გამართული აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმს, რომელმაც განიხილა საკითხი „პარტიის XXIV კრების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სამრეწველო წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისთვის აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების“.

მომხსენებლმა, პარტიის საოლქო კომიტეტის მბრძანებელმა ბ. ბეგთასაშვილ, კომეთის მოხსენებამ: ბატონმა საფარაძემ ტ. ტაბიძემ, ბ. ნასიოლიონოვამ, ნათთბილისამოშენებელი ქარხნის პროფკომიტეტის საქართველოს ტრანსპორტ. ელექტრონული ინიციატორის ტ. ფანარიან შრომის, ბ. დარნიამ. პარტიის ქობულეთის რაიონის პირველმა მეოთხემ ბ. ონანიამ, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ნ. ბოჩორიშვილმ. კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ნაიბშვილ, მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორმა ბ. ციხაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ აჭარის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 9 თვის გეგმა 24 სექტემბრისათვის შეასრულეს. მიმდინარე ხუთწლიანის განვლილ პერიოდში აჭარის მრეწველობამ გეგმასთან შედარებით 36 მილიონი მანეთის მეტი პროდუქცია აწარმოა, მაგრამ ეკონომიური მოგების მეშრომელთა შეგნებულობას, დარაზმულობას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, ნაკლები დანაკარგებით შესრულებული ეარ არის ხუთწლედის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული წარმოების ზრდის მოცულობის ოთხი წლის გეგმა. ამ ამოცანის განსახორციელებლად დაანებული მოშობაა საჭირო მეოთხე ეტაპზე.

წლიდან აჭარის სამრეწველო საწარმოებში გაკეთებით ოქმ მოშობები. ეს ძალიან პროდუქციის ზრდის ტემპმა 2,2 პროცენტის ნაცვლად 7 პროცენტი შეადგინა. მაგრამ ეს ფაქტი საწარმოს, როდი ეხება. 9 თვის შედეგების მიხედვით წარმოების ზრდის ტემპი 12-მა საწარმომ შეამცირა. მათ შორის არიან სახლსაშენი კომბინატის, თამბაქოს თაბრიკის. საბინაო-კომუნალური მეურნეობის საბინანტრის სამშენებლო მასალების საწარმოს და სხვა კოლექტივები. ისინი რიტმულად არ მუშაობენ. მათს საქმიანობაში გამოვლენილი ეიარეშობანა ეარყოთითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. ეს მეგომარეობა კი ძირითადად იმის შედეგია, რომ ნედლეულის მეწოდება გეგმაზომიერად არ ხდება.

ბევრგან დაბალია მოწყობილობათა პარამისა და სამუშაო ძალის გამოყენების კოეფიციენტი, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის ხარისხზე ეარყოთითად მოქმედებს მუშახელის დიდი დენადობა. როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, დენადობის მთავარი მიზეზი ახალგაზრდა კადრებისადმი, მეშუმათა საყოთაცხოვრებო და კულტურული პირობებისადმი საწარმოთა ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციების უყურადღებობაა.

პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ ბევრი დანაგვარი და მოწყობილობა თანმიყოლოდაც და მორალურადაც ეკვი მოძველებულია. ამ ქვეშად შეიძენება ახალი ფაბრიკები, ნენერგეტიკა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია. მარტო მიმდინარე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადადგება 29 ავტომატური ხაზი. მაგრამ ეს საამაოისი მაინც აო ეარის. საწარმოო სიმძლავრეთა გადიდების ერთ-ერთი რეკონსტრუქტორი ეზა სავრდოლოს ქალთა მეთოთდია. ამ მეთოდის დასანერგავად ეკ ჯერ ჯერობით ეკოა რამ ეკითდება.

პლენუმზე სერიოზულად შენიშვნების გამოთქმა ოალოკოლოთ სასმელების, სპირტიანი ნაწარმის, ქობულეთის სამრეწველო კომბინატის პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაზე.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი წარმოების მართვის სოციოლოგიისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. აღინიშნა, რომ ბევრი უშვიბის. საწარმოს ხელმძღვანელები თანმიმდევრული ღონისძიებებს არ ახორციელებენ საქართველოს კ ეკენტრალური კომიტეტის ბიუროს 1972 წლის ნოემბრის სხდომის დადგენილების განსახორციელებლად. მაგ რით ონდა ეიხსნას, რომ ეკოდ ეიმეზეოდ აეკდენენ სამუშაო დროს, ეიგაკეთებენ ფაბლებს, გამეთებელია მეშუმათა ყოფამართლებელი დენადობა, უდანსიკლინობა. ამ მხრივ ეკუდი მდგომარეობაა ჭოროხის ინერტიული მასალების ქარხანაში, თამბაქოს თაბრიკში. „აჭარშეკეთებენაზენ“. სამეურნეო საწარმოო ყოფილთანებაში, საერთო მეშენებლობის № 5 ტრესტში და სხვა ორგანიზაციებში.

საქართველოს კ ეკენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო დროს გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია. პარტიული, პროფესიონალური და კომკავშირული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა აქტივობის ეანვითარებას. შეჯიბრების შეჯამების ორგანიზაციას. ამ მხრივ ეარა მაგალითს იძლევიან საყოთაცხოვრებო მანქანათსაშენი, ელექტრომექანიკური, ნაკოთბგადასამუშავებელი ქარხნები და სხვა საწარმოები, თუმცა პლენუმზე ისიც ითქვა, რომ ზოგიერთ საწარმოში შეჯიბრებას ფორმალურად უდგებიან, არის ემპანიურობა, სოსტადი მეშუობენ შეჯიბრების ხელმძღვანელობ ი ს კომისიები.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა საქართველოს კ ეკენტრალური კომიტეტის მოახლოებული XIV პლენუმისათვის ეიარსებული ეკონომიკური კომიტეტის ეკენტრალური კომიტეტის ბიუროს XIV პლენუმისათვის ეიარსებული ეკონომიკური კომიტეტის ბიუროს ეკენტრალური კომიტეტის ეკენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე.

ბ. ჭელიძე.

საქართველოს ხაწარმოო გეოლოგიური სამმართველოს ცემენტის ნედლეულის გეოლოგიური პარტიის უფროსი.

ეპარტიული ცხოვრება

ზრუნვა — კომკავშირს

ფოთი. (ხაკ. კორ.). პარტიის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მოხსენება თემაზე — „კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ — გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ლაკიამ.

აქტივზე აღინიშნა, რომ ქალაქის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუძლიერეს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა. კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმებზე, ბიუროს სხდომებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის აქტუალური საკითხების რეგულარული განხილვა.

ამასთან კრებაზე გაკრიტიკეს ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლებიც დღემდე ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდობის დასაოჯახებად სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. აღინიშნა, რომ ნაკლებად ეწყობა ექსკურსიები, შეხვედრები შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან. ახალგაზრდობის მეორე ნაწილი ჯერ კიდევ ჩაბმული არ არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

განხილულ საკითხზე აქტივის კრებამ მიიღო დადგენილება.

□

პარტორგანიზაციის მდივნის ანგარიში

აბაშა. ამ დღეებში პარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ მოისმინა მექანიკური ქარხნის პარტბიუროს მდივნის ო. ნოდიას ანგარიში მიღებულ დადგენილებათა შესრულების საკმეში პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული შუშაობის შესახებ.

